

## პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტაციის დამუშავება

გულნარა ჯანელიძე<sup>1</sup>, ქეთევან მეფარიშვილი<sup>2</sup>, რობერტ კავთიაშვილი<sup>2</sup>

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### რეზიუმე

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება საინფორმაციო სისტემებში მათი დამუშავებისას მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, რომლის გადასაწყვეტად საჭიროა არა მარტო ნორმატიული და მეთოდური დოკუმენტებით დადგენილი წესების დაცვა, არამედ კარგად ორიენტირება საინფორმაციო სისტემების კლასიფიკაციასა და პერსონალური მონაცემების კატეგორიის საკითხებში. აღნიშნული პრობლემის აქტუალობა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ პერსონალური მონაცემები წარმოადგენს შეზღუდული წვდომის ინფორმაციას, რომელზეც მიმართვას ახორციელებს ნდობით აღჭურვილი იურიდიული ან ფიზიკური პირი. გარდა ამისა, ქსელური ტექნოლოგიების გამოყენება ზრდის მისი გაჟონვის, განადგურების ან მოდიფიკაციის ალბათობას. ამდენად, პერსონალური მონაცემების დაცვის ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა ადეკვატური ზომების მიღება, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ნორმატიული დოკუმენტაციის წარმოება. ნაშრომში წარმოდგენილია დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზე პირადი მონაცემების დაცვის სფეროში შესაბამისი ნდობით აღჭურვილმა ორგანოებმა შეიძლება წარმართონ მონაცემთა დაცვის საშუალებები.

**გასაღებური სიტყვები:** პერსონალური ინფორმაცია, მონაცემთა დაცვა.

### 1. შესავალი

პირადი მონაცემების დამუშავება ხორციელდება ინფორმაციის დაცვის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილია კანონებში და ნორმატიულ აქტებში, ინფორმაციის დაკარგვის, უკანონოდ დაუფლების არასანქცირებული წვდომის შეჩერების მიზნით [1]. პირადი მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას: არასანქცირებული წვდომის, გაჟონვის ან სხვა, არა ნდობით აღჭურვილ პირზე გადაცემისაგან დაცვა; ავტომატიზებული დამუშავების აკრძალვა, რომლის შედეგადაც შეიძლება დაირღვეს ინფორმაციის მთლიანობა; დამრღვევის ზემოქმედებით გამოწვეული მოდიფიციების ან განადგურების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღდგენის უზრუნველყოფა.

პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნების შესრულებისა და შესაძლო საფრთხეების აღმოფხვრისათვის საჭიროა ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსის რეალიზება.

### 2. ძირითადი ნაწილი

ინფორმაციული რესურსების წინასაპროექტო გამოკვლევის პროცესში ხორციელდება პერსონალური მონაცემების დამუშავების თავისებურებების შესახებ საწყისი ინფორმაციის მიღება წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე [2]. ამ ეტაპზე განისაზღვრება პერსონალური მონაცემების დამუშავების საინფორმაციო სისტემები, ასევე პერსონალური მონაცემების შემადგენლობა და აღვილმდებარეობა ცალკეული საინფორმაციო სისტემისათვის, აღიწერება საინფორმაციო სისტემების შემადგენლობა და სტრუქტურა, დასაბუთდება კრიპტოგრაფიული საშუალებების გამოყენების საჭიროება პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჩატარდება პერსონალური მონაცემების დამუშავების წინასწარი კლასიფიკაცია და შესაბამისი დოკუმენტაციის შეგროვება და ანალიზი [3,4].


გამოკვლევის ეტაპზე შესრულებული სამუშაოების საფუძველზე მიიღება:

- პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემების გამოკვლევის ანგარიშგება;
- პერსონალური მონაცემების საფრთხის და მისი უსაფრთხოების დამრღვევის მოდელი;
- პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემების კლასიფიკაციის აქტების პროექტები.

დამუშავებული მოდელის საფუძველზე ფორმირდება ორგანიზაციულ-ტექნიკური მოთხოვნები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს პირადი მონაცემების საინფორმაციო სისტემებმა.

ორგანიზაციულ-განკარგვითი დოკუმენტაციის დამუშავების ეტაპის ძირითადი მიზანია დოკუმენტაციის შაბლონების კომპლექსის დამუშავება, პერსონალურ მონაცემებზე კონტროლის განხორციელების მიზნით.

პერსონალური მონაცემების დაცვის სისტემის პროექტის დამუშავებისას უნდა დამუშავდეს, როგორც მინიმუმ, შემდეგი სახის დოკუმენტები (ნახ.1):



ნახ.1

• მდგომარეობების აღწერის დოკუმენტები:

- პერსონალური მონაცემების დამუშავების თანმიმდევრობის შესახებ;
- განყოფილებების შესახებ, რომლებიც ახორციელებენ პერსონალური მონაცემების დაცვის ორგანიზების ფუნქციებს;
- შენობაში წვდომის რეჟიმის და კონტროლის ორგანიზაციის შესახებ, სადაც დაყენებულია პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემების აპარატურული საშუალებები.

• ბრძანებები:

- პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემების კლასიფიკაციის შესახებ კომისიის შექმნაზე;
- სტრუქტურული ქვედანაყოფის დანიშვნაზე, რომელიც ასრულებს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქციებს;
- პერსონალური მონაცემების მატერიალური მატარებლების შენახვის ადგილის დამტკიცებაზე.

• გეგმები:

- პერსონალური მონაცემების დაცვის ღონისძიებების გეგმა;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობის შიდა კონტროლის გეგმა.

• სხვა დოკუმენტები:

- კონფიდენციალური ხასიათის ცნობების ნუსხა;
- ინსტრუქცია პერსონალური მონაცემების მატარებლების აღრიცხვის, შენახვის და განადგურების მიმდევრობის შესახებ;
- კლიენტებთან და პარტნიორებთან მოლაპარაკებების პროექტები;
- პერსონალური მონაცემების დამუშავებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ტიპის ფორმების ნაკრები;

- სუბიექტის თანხმობის ფორმა თავისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;

- სუბიექტის თანხმობის ფორმა იურიდიული ხასიათის პერსონალური მონაცემების ავტომატიზებულ დამუშავებაზე;
- სუბიექტის თანხმობის ფორმა პერსონალური მონაცემების საზღვარგარეთ გადაცემის თაობაზე;
- სუბიექტის თანხმობის ფორმა პერსონალური მონაცემების მესამე პირზე გადაცემის თაობაზე;
- საკუთარი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე სუბიექტის უწყების ფორმა;
- საკუთარი პერსონალური მონაცემების დაბლოკვის შესახებ სუბიექტის უწყების ფორმა;
- საკუთარ პერსონალურ მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ სუბიექტის უწყების ფორმა;
- საკუთარი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეჩერების ან განადგურების შესახებ სუბიექტის უწყების ფორმა;
- სუბიექტზე ცნობების წარდგენის შეწყვეტის ფორმა;
- პერსონალური მონაცემების ოპერატორის რეკვიზიტებში ცვლილებების შესახებ უწყების ფორმა;
- აქტის ფორმა იმ დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფის შესახებ, რომელიც არ ექვემდებარება შენახვას;
- ინფორმაციის დაცვის საშუალებების ექსპლოატაციისათვის მზადყოფნის შესახებ დასკვნის ფორმა;
- პერსონალური მონაცემების სუბიექტებზე მიმართვის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა;
- პერსონალური მონაცემების მატარებლების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა;
- პირთა აღრიცხვის ჟურნალის ფორმა, რომელთა წვდომა საინფორმაციო სისტემაში პერსონალურ მონაცემებზე გამოწვეულია სამსახურეობრივი მოვალეობით.
- ინფორმაციის დაცვის გამოყენებული საშუალებების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა;
- დასაცავი ობიექტების მატარებლების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა.

### 3. დასკვნა

პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემის დაცვის ორგანიზება, ნორმატიული დოკუმენტაციის საფუძველზე, უნდა მოხდეს საკმაოდ მკაცრად განსაზღვრულ ვადებში. იგი მოითხოვს ინფორმაციის დაცვის ზომების, სერვისების და საშუალებების მიმართ ახალი მოთხოვნების ანალიზს და შესრულებას. პერსონალური მონაცემების დაცვის პრობლემის გადაწყვეტა მჭიდრო კავშირშია პერსონალური მონაცემების ოპერატორებთან, პროგრამული უზრუნველყოფის და ინფორმაციის დაცვის საშუალებების მწარმოებლებთან, ინფორმაციის დაცვის სპეციალურ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ორგანოებთან, საინფორმაციო სისტემების სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე.

### ლიტერატურა:

1. შონია ო., ჯანელიძე გ., მეფარიშვილი ბ. ინფორმაციული და ქსელური რესურსების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სტუ. თბ., 2009

2. Бажанов А., Назаров И., Язов Ю. Обработка персональных данных в информационных системах: как обеспечить безопасность. Connect! Мир Связи, М., 2009-№1.
3. Марков А.С., Никулин М.Ю., Цирлов В.Л. Сертификация средств защиты персональных данных: революция или эволюция? – «Защита информации». Инсайд». М., 2008-№5
4. Сухинин Б.М. Проблемные вопросы защиты персональных данных. Тез. докладов XI Межд. конф. РусКрипто. М., 2009.

## PROCESSING OF PERSONAL DATA SECURITY DOCUMENTS

Janelidze Gulnara, Meparishvili Ketevan, Kavtiashvili Robert

Georgian Technical University

### Summary

Security of personal data at the stage of processing in information systems is one of the urgent problems, which requires not only sticking to the normative and methodically established rules, but also correct orientation in information systems classification and in issues of personal data. The urgency of a problem is based on the limited availability of personal data, the reference to which is carried out by legal or physical authorized representative. Besides, utilization of network technologies increases probability of outflow, destruction or altering of personal data. Therefore, to solve a problem of personal data protection it is necessary to take adequate measures among which one of the major is a conducting the normative documentation. In the article there is represented an examples of a personal data protection.

## ОБРАБОТКА ДОКУМЕНТАЦИИ ЗАЩИТЫ ПЕРСОНАЛЬНЫХ ДАННЫХ

Джанелидзе Г., Мепаришвили К., Кавтиашвили Р.

Грузинский технический университет

### Резюме

Безопасность персональных данных при их обработке в информационных системах представляет собой одну из наиболее актуальных проблем, для решения которой необходимо соблюдение не только нормативных и методически установленных правил, а также правильная ориентация в классификации информационных систем и в вопросах категории персональных данных. Актуальность проблемы основывается на том обстоятельстве, что персональные данные представляют собой информацию ограниченной доступности, обращение к которой осуществляется юридическим или физическим доверенным лицом. Кроме этого, применение сетевых технологий увеличивает вероятность утечки, уничтожения или модификации персональных данных. Поэтому, для решения задачи защиты персональных данных необходимо принятие адекватных мер, среди которых одним из важнейших является ведение нормативной документации. В работе представлена документация, на основе которой в сфере защиты персональных данных соответствующие доверенные органы могут вести работы по защите данных.